



დოქტორანტის კოლოკვიუმის ინსტრუქცია

1. სწავლების გარკვეულ ეტაპზე, დოქტორანტი იწყებს კვლევის შედეგების წარდგენას. კვლევის ფარგლებში დოქტორანტს ევალება კოლოკვიუმების მომზადება. კოლოკვიუმების რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამით.
2. კოლოკვიუმზე წარსადგენი ნაშრომი არის დისერტაციის ნაწილი. კოლოკვიუმი ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ სადისერტაციო თემასთან/მის ცალკეულ ნაწილთან დაკავშირებული მასალის წარმოდგენასა და პრეზენტაციას. კოლოკვიუმის ძირითადი მიზანია დოქტორანტის ცოდნის სისტემატიზაცია, გაწეული მუშაობის წარმოდგენა/პრეზენტაცია, დოქტორანტის კრეატიული აზროვნების, სამეცნიერო საზოგადოებასთან კომუნიკაციისათვის აუცილებელი უნარის გამომუშავება.
3. კოლოკვიუმი უნდა ასახავდეს დოქტორანტის თეორიული/ექსპერიმენტული კვლევის დასაბუთებულ შედეგებს (უნდა გამოირიცხოს კომპილაცია, პლაგიატი, ...). კოლოკვიუმზე დოქტორანტმა უნდა წარმოაჩინოს, რა მოცულობითა და სიღრმითაა გამოკვლეული კონკრეტული საკითხი, წარმოაჩინოს მიღებული და მოსალოდნელი შედეგები, წარმოადგინოს გამოსაქვეყნებლად მომზადებული ან სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების ანალიზი.
4. კოლოკვიუმების მოცულობა უნდა იყოს არანაკლებ 15 გვერდისა დანართების ჩათვლით. ყველა გვერდი უნდა დაინომროს თანმიმდევრობით, დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება. ტექსტი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის ქაღალდზე, სტანდარტული Unicode შრიფტით (მაგალითად - Sylfaen), ზომა 12. გვერდის ნომრებისა და სქოლიოს შრიფტის მინიმალური ზომაა - 10. თავებისა და ქვეთავების დასახელებაში შეიძლება გამოყენებული იქნას უფრო დიდი ზომის შრიფტი. ნაშრომის ძირითადი ტექსტისთვის ინტერვალი არის 1.5. ტექსტი უნდა დაიბეჭდოს მხოლოდ ერთ გვერდზე. გვერდის მარცხენა მხარეს უნდა დარჩეს 30 მმ მინდორი, ხოლო დანარჩენ მხარეებზე – 20 მმ. ნაშრომს უნდა ერთვოდეს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი.
5. დოქტორანტის მუშაობა კოლოკვიუმზე ძირითადად მიმდინარეობს ხელმძღვანელთან კონსულტაციების (მათ შორის „ონლაინ“ რეჟიმში) და დოქტორანტის დამოუკიდებელი მუშაობის ფორმატში.
6. სემესტრების დასრულებამდე მეცამეტე კვირაში დოქტორანტი ხელმძღვანელს წერილობითი ფორმით წარუდგენს კოლოკვიუმს - თეორიული/ექსპერიმენტული კვლევის შესაბამის ეტაპებზე მიღებულ შედეგებს. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის დადებითი დასკვნის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი შეარჩევს რეცენზენტს. რეცენზენტი შეიძლება იყოს ქართული უნივერსიტეტის შესაბამისი მიმართულების/დარგის აკადემიური პერსონალიდან შერჩეული (პროფესორი, ასოცირებული, ან ასისტენტ პროფესორი), ან შესაბამისი



საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

კვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტი. რეცენზენტს კოლოკვიუმში სარეცენზიოდ უნდა გადაეცეს მის წარდგენამდე არანაკლებ 15 დღით ადრე XVI კვირაში. რეცენზენტი კოლოკვიუმის წარდგენამდე 10 დღით ადრე წარმოადგენს რეცენზიას წერილობითი ფორმით, სადაც უნდა იყოს დაფიქსირებული მისი პოზიცია ნაშრომთან დაკავშირებით, კერძოდ, რეცენზენტი შესაძლებლად, ან შეუძლებლად უნდა მიიჩნევდეს ამ ნაშრომის წარდგენას აუდიტორიისთვის. რეცენზენტის უარყოფითი პოზიციის შემთხვევაში გამოიყოფა დამატებითი რეცენზენტი, რომელიც 5 დღის ვადაში წარმოადგენს საკუთარ შეფასებას. ორი უარყოფითი რეცენზიის შემთხვევაში დოქტორანტს უკან დაუბრუნდება ნაშრომი არანაკლებ 10 დღის ვადაში გადასამუშავებლად.

7. დოქტორანტი კოლოკვიუმის წარდგენაზე დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რეცენზენტების პოზიცია იქნება დადებითი. დოქტორანტს უნდა გაეგზავნოს რეცენზენტის მიერ გაკეთებული დასკვნა.

8. კოლოკვიუმის წარდგენისთვის კვლევის შედეგები წერილობით წარედგინება (3 დღით ადრე) არანაკლებ 3 წევრისაგან შემდგარ დარგობრივ კომისიას, რომელსაც შეადგენს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი. წარდგენის დღეს თავის შეფასებას წერს რეცენზენტიც.

კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს სკოლის დეკანი. კომისიის მუშაობაში მონაწილეობა უნდა მიიღოს:

- მიმართულების ხელმძღვანელმა ან დეკანმა.
- დარგის სულ მცირე სამმა სპეციალისტმა.

კომისიის მუშაობაში ხელმძღვანელი წარმოდგენილია სათათბირო ხმის უფლებით.

კომისიაზე დოქტორანტი წარმოადგენს კვლევის მოცემულ ეტაპზე მიღებულ შედეგებს (არანაკლებ 10 წუთისა). კომისიის წინაშე უნდა იყოს წაკითხული რეცენზენტის დასკვნა.